

ავტორის სიკვდილი როგორც სიუჟეტის საკვანძო ელემენტი
პოსტმოდერნულ რომანში

(პოლ ოსტერის *შუშის ქალაქი*, სალმან რუშდის *ფლორენციელი
ჯადოქარი*, ბექა ადამაშვილის *ბესტსელერი*, გურამ მეგრელიშვილის
მოდელი 18/12)

ირაკლი ამბროლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი,

პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი ამბროლაძე

26/06/2017

აბსტრაქტი

ლიტერატურათმცოდნეობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში. დამუშავდა თეორიები, რომლებიც ავტორის ინსტანციის დომინანტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა და წინა პლანზე ტექსტის ავტონომიურობას წამოსწევდა. ავტოროლოგიურ თეორიაზე მუშაობას თავისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო როლან ბარტმა. ავტორის დომინანტობის ტექსტით ჩანაცვლების საკითხი აინტერესებდათ იულია კრისტევას და მიშელ ფუკოს.

ქართულ აკადემიურ სივრცეში არ შექმნილა ნაშრომი, რომელშიც გამოკვლეული იქნებოდა აღნიშნული პოსტსტრუქტურალისტური კონცეფციის პოსტმოდერნულ რომანში სიუჟეტურ დონეზე ასახვის საკითხი. მოცემული კვლევა ეყრდნობა ხსენებული მკვლევარების ნაშრომებს და ანალიზისა და შედარების მეთოდის გამოყენებით აჩვენებს მათი მოსაზრებების ტრანსფორმაციას ბექა ადამაშვილის (*ბესტსელერი*), გურამ მეგრელიშვილის (*მოდელი 18/12*), სალმან რუმდის (*ფლორენციელი ჯადოქარი*) და პოლ ოსტერის (*შუშის ქლაქი*) რომანებში.

კვლევაში მიღწეულია მიზანი და ნაჩვენებია, რომ „ავტორის სიკვდილის“ კონცეფცია პოსტმოდერნული რომანის სიუჟეტურ ელემენტად იქცა.

მხატვრულ ლიტერატურაზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი იქმნება. ხშირად, ურთიერთმიმართების წყვილში მხატვრული ტექსტები წარმოადგენენ მიზეზს, ხოლო სამეცნიერო ნაშრომები - შედეგს. მოცემული კვლევა აჩვენებს საპირისპირო მიმართების შესაძლებლობას, რომ სამეცნიერო კონცეფცია გახდეს მხატვრული ტექსტის განმაპირობებელი. შედეგად, წინამდებარე ნაშრომი კარგ საფუძველს ქმნის, მომავალში, სამეცნიერო კონცეფციებისა და მხატვრული ტექსტების ურთიერთგავლენის საკითხების შესასწავლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტექსტი, ავტორი, ხელოვანი, სიუჟეტი, ავტორის სიკვდილი.

Abstract

A significant turning point in literary studies occurred in the sixties of the twentieth century. Theories were developed to question the dominance of the author's instance and put the autonomy of the text in the foreground. Roland Barthes devoted a considerable part of his work to the studies of the idea of authorship. The issue of replacing the author's dominance by the Text was subject of interest for Julia Kristeva and Michel Foucault.

There has not been published any thesis in which the issue - about the above-mentioned post-structural concept becoming the main element of the story in postmodern novel - would be researched in Georgian academic sphere. The thesis is based on the studies of mentioned researchers and using methods of analysis and comparison shows the transformation of their opinions in novels of Beka Adamashvili (*Bestseller*), Guram Megrelishvili (*Model 18/12*), Salman Rushdie (*Enchantress of Florence*) and Paul Auster (*City of Glass*).

The thesis has reached the goal: The concept of "the death of the author" has become the subject of postmodern novel.

There are many scientific studies created on fiction. Often, in the pair of fiction and scientific paper, the fiction is the "cause" and scientific paper is the "result". The thesis shows the possibility of contradictory approach - the scientific concept becomes the source for fiction. As a result, the thesis creates a good basis for future studies on the issues about the interaction of scientific concepts and the fiction.

Key words: Text, author, artist, story, death of the author.